ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

1 მაისი
ხუთშაბათი
2025 წელი
№18(9384)
ფასი 40 თეთრი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2025 წლის 25 აპრილს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი.**

დეპუტატებმა დაამტკიცეს ქალაქ ბორჯომის განაშენიანების გეგმის კონცეფცია.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით თანხმობა მისცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს.

იმსჯელეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობაზე

ძალადაკარგულად ჩაითვალა „ბორჯომის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვლის №63 დადგენილება.

ასევე ძალადაკარგულად ჩაითვალა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 სექტემბრის №87 დადგენილება.

ასევე ძალადაკარგულად ჩაითვალა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის (№გ.17.17213586) განკარგულება.

ძალადაკარგულად გამოცხადდა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის (№გ.17.17233567) განკარგულება.

მოისმინეს მეორადი სტრუქტურული ერთეულის, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობასთან ურთიერთობისა და ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელის **შ. გოგოლაძის** ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობისა და 2025 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ასევე მოისმინეს ა(ა)იპ „ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის" დირექტორის **ლ. გელაშვილის** ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობისა და 2025 წელს ზაფხულის სეზონზე დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ინტეგრირებული თეატრი ბორჯომის სცენაზე

სურათზე: სპექტაკლის მონაწილეები რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს ინიციატივით ა(ა)იპ „ახალგაზრდობა სოციალური თანასწორობისთვის - ინტეგრირებულმა სახელმწიფო თეატრმა" ბორჯომის კულტურის ცენტრში წარმოადგინა სპექტაკლი „ჰელადოსი".

ინტეგრირებულ თეატრში „აზდაკის ბაღი" (სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი **ივანე (ბაჩო) გაბრუაშვილი)** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და პროფესიონალი მსახიობები ერთ სცენაზე თამაშობდნენ

სპექტაკლს ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი **დავით ფაცაცია**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული **ბესიკ ამირანაშვილი**, მოადგილე **შოთა როსტიაშვილი**, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**, მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე**, დეკანოზი **იოანე (ხეცურიანი)**, დღის ცენტრი ,,თებე"-სა და ,,ხედვა, ზრუნვა, მხარდაჭერ"-ის ბენეფიციარები, ასევე სხვადასხვა სკოლის უფროსკლასელები და ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები.

რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია — მოქმედებაში!

ბორჯომის სასპორტო სკოლისა და ბიბლიოთეკის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია დაიწყო. სამუშაოები 18 თვე გაგრძელდება.

პროექტის ფარგლებში, რუსთაველის ქუჩის №107-ში მდებარე შენობის სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია განხორციელდება. დამატებით დეკორატიული ელემენტების გამოყენებით შენარჩუნდება შენობის იერსახე.

რეაბილიტირებულ შენობაში განთავსდება სასპორტო სკოლა და ბიბლიოთეკა.

მოეწყობა შესაბამისი დარბაზები შიდა სავარჯიშო სივრცით, ასევე - სამკითხველო დარბაზი, მედიათეკის სივრცე,საკონფერენციო დარბაზი და საოფისე ოთახები.

სპორტის სახეობების და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, სწორედ ამიტომ ბორჯომის მუნიციპალიტეტი ამ მიმართულებით არაერთ პროგრამას ახორციელებს.

მიმდინარეობს გარე განათების სისტემის მოწყობა

ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს ბორჯომში, რუსთაველის ქუჩაზე ორივე მხარეს, გარე განათების სისტემის მოწყობა.

პროექტის ფარგლებში, განხორციელდება ძველი განათების სისტემის დემონტაჟი და ახალი გარე განათების ანძების მოწყობა, დამონტაჟდება დეკორატიული ლამპიონები.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ფინანსდება.

გვიყვარდეს მშობლიური ბორჯომი

წუხილი ქალაქის სისუფთავეზე

ორ საუკუნეზე მეტია, რაც ბორჯომელთა უმრავლესობამ დამსვენებელთა მასპინძლობას მოჰკიდა ხელი. დღესაც ესაა მოსახლეობის კეთილდღეობის წყარო. მით უფრო, რომ განვითარებულ საუკუნეში მრავალგვარ ვითარებას მოერგო გამქირავებელთა და დამქირავებელთა სიტუაცია. უმრავლესობამ ფართი გამოყო დამსვენებელთა მისაღებად. გაარემონტა, კეთილმოაწყო ბინა, ინტერიერი და ეზოც.

მუნიციპალიტეტის ძალისხმევითაც ბევრი რამ გაკეთდა ქალაქის იერსახის გასაუმჯობესებლად, მეტ ტურისტ-დამსვენებელთა მოსაზიდად...

ამ დადებითი ტენდენციის პარალელურად ჩვენი ბორჯომის სანიტარული მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და ბინძურად გამოიყურება... ეს ხდება ზოგიერთი უზნეო და უკულტურო ბორჯომელის უგულობით.

შემჩნეული გექნებათ, ისედაც ვიწრო, გაუვალ ქუჩებზე საცხოვრებლებიდან გამოყრილი სამშენებლო ნაგავი, ძველი ავეჯის ნანილები, გამოცვლილი იატაკის ნარჩენები. დარჩენილი სამშენებლო მასალა: ქვიშა, დამტვრეული აგურები, ბლოკები, რომელთა გადაყრის ნაცვლად, ზოგიერთები ეზოების შემოღობვასაც ეწევა... ამით, ისედაც ვიწრო ქუჩებზე ჩნდება პარკინგის კრიზისი, ფერხდება ფეხით მოსიარულეთა პრობლემები. ბევრ ბორჯომელს, თუ მეზობელი რაიონიდან მოსულებს, ჩვენი ქალაქის ქუჩები ბაზრად უქცევიათ. ჩვენ, აქაურები, მივეჩვიეთ ამგვარ სურათებს, აღარაფრად მიგვაჩნია. ტურისტები და უცხო სტუმრები კი შესანიშნავად ამჩნევენ ქალაქის ამ ,,მინუსებს".

ევროპა რომ მოგვწონს და ევროპისაკენ მივისწრაფვით, კარგი რამაა, მაგრამ როგორ ვბაძავთ ევროპელებს?!

ამიტომ მოდით, ამ მიზნისაკენ სვლა ქალაქის მოწესრიგებით დავიწყოთ. ჩვენი ქალაქი, რომელიც ბუნებრივად ლამაზი, ბალნეოლოგიური და ტურისტული რესურსებით მდიდარია, შესახედათაც მიმზიდველი გავხადოთ! ამისათვის არა მარტო საკუთარი ბინები, სახლები და ეზოები, არამედ ქუჩებიც გავალამაზოთ!

თუმცა ეს ზოგან არც ისე ადვილი იქნება, რადგან წლების წინ ქალაქში უკანონოდ ჩამწკრივებული და შემდეგ უპასუხისმგებლო, წინდაუხედავად მავანთა მიერ აღიარებული ჩიხამახა ბარაკ-ნაგებობანი დღეს დიდ პრობლემას ქმნის იმ ადგილებში გადაადგილების, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, ლანდშაფტისა და ქალაქის იერსახის ხედვაზე. ძალიან მაინტერესებს, რა ფუნქცია აქვს ამ ბარაკებს დღეს? რა სიმდიდრეს ინახავს მისი მფლობელი იმ ქოხში? ნუთუ ასე ძნელია შეველიოთ ძველმან ნივთებს, გამოცვლილ ავეჯს, ნაგავს და ა.შ. როცა ამ ადგილებში შესაძლებელია მშვენიერი დასასვენებელი სკვერი, ბავშვთა გასართობი მოედანი, მანქანების მოსაბრუნებელი და ღია სადგომები მოეწყოს?

ყოველ წელიწადს ბორჯომ-ქალაქობას ვზეიმობთ, ალბათ, წელსაც მოვეფერებით ქალაქს!

ბორჯომელებო, ბორჯომის სიყვარულს მარტო სადღეგრძელოებში ნუ გამოვხატავთ! დღენიადაგ ვიზრუნოთ ჩვენი ქალაქის, საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილების სისუფთავეზე, უმცროსი თაობაც ავიყოლიოთ, ქალაქის ლამაზი, მომხიბვლელი იერსახე მივიღოთ, და ჩვენ (ბორჯომელთა) აუცილებელ სადღეგრძელოში ამაყად და რიხით ვთქვათ: „ჩვენი ლამაზი ბორჯომის სადღეგრძელო იყოს!"

მარიკა გელაშვილი,
არქიტექტორი.

მასონობა — ვისთვის რეალური და ვისთვის ირეალური

,,მხოლოდ სამასი კაცი, რომელთაგან თითოეული ყველა სხვას იცნობს, განაგებს ევროპის ბედს. ისინი თავიანთი გარემოცვიდან მემკვიდრეებს ირჩევენ. ამ გერმანელ (მასონ) ებრაელებს იმდენი ფული აქვთ, რომ თავისუფლად შეუძლიათ ნებისმიერი სახელმწიფოს, გინდ მთავრობის (თუ ის ურჩი გამოდგება), წირვა გამოუყვანოს".

რატენაუ, ფლეინ ინგლიში,
1921 წელი, 11 ივნისი.

რკინის ფარდის მიღმა მცხოვრებ საბჭოთა ადამიანებს, ბავშვებივით მედლებითა და ორდენებით მკერდდამშვენებულ-გულდამშვენებულებს, კრებებსა და შეკრებებზე ტაშის დაკვრისაგან ხელის გულები ჰქონდათ გახურებული. იშვიათი როდი იყო, რომ უბრალო წარმატებისა თუ წარუმატებლობის გამო ტაში ოვაციაში გადაიზრდებოდა ხოლმე, ყველაფერი გასაიდუმლოებული იყო და კულისებს გადაღმა რა ხდებოდა, უბრალო მოკვდავთ არავინ ეტყოდა. თვით ქართულ ენციკლოპედიაშიც კი არავითარი მინიშნებაც კი არაა იმაზე, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ენციკლოპედიაში აღნიშნულია: **„როტშილდების ფინანსურმა ჯგუფმა, რომელსაც დასაბამი მისცა XVIII საუკუნეში მაინის ფრანკფურტელმა ბანკირმა მაიერ ამშელ როტშილდმა (დავიმახსოვროთ ეს გვარ-სახელი), ყველაზე მეტ ძლიერებასა და გავლენას მიაღწია XIX საუკუნის I ნახევარში, როდესაც პარიზში, ლონდონში, ვენაში, მაინის ფრანფურკტსა და ნეაპოლში მყოფ ბანკებს, მაიერ ამშელის 5 ვაჟი მართავდა, რომლის ფინანსურ დამოკიდებულებაში მოექცა ევროპის ბევრი ქვეყანა".**

როტშილდის თანამედროვე საერთაშორისო ფინანსური იმპერია იყოფა ინგლისისა და საფრანგეთის შტოებად. დიდი ბრიტანული ერთ-ერთი მონოპოლიური ჯგუფია ,,როტშილდ-სემუელ-ოპენჰაიმერი", მისი გავლენის სფეროშია სასარგებლო წიაღისეულის ამომღები სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკების უმრავლესი სამთო-მომპოვებელი კომპანიები, 60-იანი წლებიდან აგრეთვე ნავთობის მრეწველობა და ფერადი მეტალურგია.

ფრანგული შტო როტშილდების საერთაშორისო იმპერიის ყველაზე ძლიერი დაჯგუფებაა. მისი ორგანიზაციული ბირთვია **„ბენკ დე როტშილდი"** და ჰოლდინგების კომპანია **,,მოსიეტე და ენვესტისმან დიუ ნორი"**. ამ საფინანსო დაწესებულებების კაპიტალი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

ესაა, როგორც იტყვიან, მედლის ერთი მხარე, რომლის შესახებაც ზოგი რამ იყო ცნობილი XX საუკუნის მეორე ნახევრამდე, ჩვენთან კი, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ ზემოთ მოხსენებული ინფორმაციით შემოიფარგლებიან.

რეალურად კი დადგენილია, რომ **ამშელ მაიერ როტშილდმა და მისმა თანამზრახველებმა სათავე დაუდეს ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით მსოფლიო შეთქმულებას**.

გენერალი **სპირიდოვიჩი** (ცნობილი რუსი დიპლომატი) წიგნში **„ფარული ხელი" გვამცნობს, რომ „მსოფლიო უმაღლესი იმპერატორის და მსოფლიო მნიშვნელობის მკვლელთა"** დინასტიის დამაარსებლები იყვნენ ებრაელი წყვილი - **ამშე და გუტა მეიერები**. სახლი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ხის ქოხს წარმოადგენდა. ცოლ-ქმარს პირველი სართული ეკავა და იქ ძველი ნივთების მაღაზია ჰქონდათ მოწყობილი. **ეს უმნიშვნელო, უბრალო მაღაზია მომავალში „ბარონების" მსოფლიოს მმართველთა დაბადების ისტორიულ ადგილად იქცა. მაღაზიის ფასადზე გაკრული იყო აბრა წარწერით - „წითელი ფარი"**, რაც გერმანულად ასე ჟღერს: **„როტ შილდი" და** ამ ოჯახის ყველა წევრმა **როტშილდის გვარი მიიღო**.

ამშელი დაიბადა ფრანკფურტში,1743 წელს. მისი დანიშნულება რაბინობა იყო და სკოლაშიც შევიდა, სადაც თალმუდიდან დიდი დოზის საწამლავი მიიღო და **ყოველივე ქრისტიანულისადმი ზიზღით განიმსჭვალა.** ამის შემდეგ ის ჰანოვერში, ოპენჰეიმის ბანკში მოწაფედ გაგზავნეს. მან იქ გენერალ-ლეიტენანტი, **ბარონი ფონ ესტორფი** გაიცნო, რომელიც ფრიდრიხ მეორის ახლობელი კაცი იყო.

მალე, **ბარონმა ფონ ესტორფმა**, რომელსაც ამშელმა სხვადასხვა დროს არაერთი სამსახური გაუწია, ჭაბუკი ებრაელი **ფრიდრიხ ლანგრავეს** წარუდგინა, რომლის ქონება დაახლოებით 100 მილიონ ფლორინად იყო შეფასებული – ეს იმ დროს საარაკო თანხა გახლდათ. როცა ფრიდრიხ ლანგრავემ ბარონ ფონ ესტორფისგან გაიგო ამშელის ნიჭიერებაზე და იმაზე, რომ ის საერთოდ არაფერს თაკილობდა, გადაწყვიტა ეს კაცი თავისი საეჭვო ფინანსური ოპერაციების მოსაკავარახჭინებლად აეყვანა.

ამ დროიდან ამშელი დედამიწაზე ყველაზე მდიდარი კაცის ფარული მინისტრი გახდა. 1765 წელს ფრიდრიხის მთელი სიმდიდრე მის შვილს **ვილჰელმ პირველს** ერგო მემკვიდრეობით.

ამშელი სარგებლობდა ვილმჰელმის გავლენიანობით, ფრანკფურტში არსებულ ფარულ ორგანიზაციასთან – ,,ებრაელთა მსოფლიო მთავრობა" – ხელჩაკიდებულმა დაიწყო თანამშრომლობა. მან მასონური ლოჟების დამორჩილება და გაკონტროლება დაიწყო. ამშელის წარმატებებით თავბრუდახვეულმა ებრაელებმა თავიანთი ძალა გააძლიერეს და უდიდეს წარმატებას მიაღწიეს ავსტრიასა და პრუსიაში.

როტშილდმა პირველმა დაიწყო ახალგაზრდა ჭაბუკების შემოკრება. უამრავი სპირტიანი სასმელით ამარაგებდა და სახელის მოპოვების მათრობელი პერსპექტივებით აბრუებდა. როდესაც ეს ჭაბუკები კარგად გაიწვრთნენ, ისინი ყველგან დაგზავნეს ებრაული იდეების დასაწინაურებლად.

მთავარი ობიექტი იყო **თალმუდი**, რომელიც ქადაგებს, რომ ,,ყველა ხალხი, რომელსაც იეღოვა მოგცემთ ხელში თქვენ, განადგურებული უნდა იქნეს!... გოებიდან (არაებრაელებიდან) საუკეთესოები მოკალი". ,,სიონჯის ბრძენთა ოქმებში" კი ნათქვამია: **„როცა ჩვენ (ებრაელები) მბრძანებლები გავხდებით, ყველა რელიგიის არსებობას საჭიროდ ველარ ჩავთვლით, გარდა ჩვენისა, რომელიც ერთღმერთობას ამკვიდრებს. მხოლოდ მასთანაა დაკავშირებული რჩეული ხალხის ბედი**.

დღემდე მეცნიერებს ხელთ არა აქვთ იმის დამამტკიცებელი საბუთი, ნამდვილია თუ ფალსიფიცირებული ეს ოქმები, მაგრამ ახლა ნებისმიერი მოკვდავიც კი, როგორც კი გაეცნობა ,,ოქმებში" გამოთქმულ გეგმებსა და მსოფლიოში **(მათ შორის საქართველოში თითქმის ყველაზე ნიშანდობლივად) გამოკვეთილ მოვლენებს, ნახავს, თუ რა საოცარია შედეგები და როგორი თანხვედრაა**.

როტშილდებს კაცობრიობისათვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანიათ. ისინი სიამოვნებით მონაწილეობენ ყველაზე ბინძურ საქმეებში, მათთვის ყველა საშუალება მისაღები იყო, თუ იგი მატერიალურ სარგებელს მოუტანდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საიდუმლო იდეურ-მასონური ხელისუფლების ცენტრმა აშშ-ში გადაინაცვლა. უკვე 20-იან წლებში ამ ქვეყანაში უფრო მეტი მასონი იყო, ვიდრე მთელ დანარჩენ მსოფლიოში. ევროპული ორგანიზაციები აშშ-ში კიდევ უფრო გაძლიერდნენ.

20-იან წლებში ცნობილი ებრაელი ბანკირი **პ. ვარბურგერი** და სხვა მოღვაწენი გამოდიან მოწოდებით **ევროპის შეერთებული შტატების შექმნის შესახებ**, 30-იან წლებში კი ერთი მთავრობის ქვეშ გაერთიანების გეგმას მხარი დაუჭირა 15-მა ქვეყანამ. პ. ვარბურგერი სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში გამოსვლისას ღიად აცხადებდა: **„ჩემი ცხოვრების ბოლო თხუთმეტი წელი მივუძღვენი მშვიდობის პრობლემების შესწავლას და იმ დასკვნამდე მივედი, რომ სულაც არ არის ძნელი „ერთიანი მსოფლიოს" შექმნა, სიძნელე მხოლოდ ისაა, განვახორციელებთ თუ არა ამას მშვიდობიანი გზით. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ჩვენ გვეყოლება მსოფლიო მთავრობა და თუ ამას თანხმობით ვერ მივაღწევთ, მივაღწევთ დაპყრობით"**.

მასონური ორგანიზაციების ინიციატივით მსოფლიო ხელისუფლებაში დაიწყო ძირეული ცვლილებები. ტრადიციული მასონური ლოჟების გვერდით იქნება **„როტარის"** თუ **„ლაონსის"** ტიპის დახურული კლუბები და ორგანიზაციები, რომლებიც თავის თავზე იღებენ საზოგადოების საქმიანობის სხვადასხვა მხარეების საიდუმლო მართვას. ყველა სახის ღონისძიება, სოციალური თუ კულტურული, გამოფენები, არჩევნები და სხვა, ჯერ განიხილება და მუშავდება შესაბამის დახურულ ორგანიზაციებში და კლუბებში და მხოლოდ ამის შემდეგ მიეწოდება მოსახლეობას, როგორც ვითომდაც საზოგადოებრივი აზრი...

მასალა მოიძია ვალერიან ლომიძემ
(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ.
გაზეთ „ბორჯომი" №7. 2025 წელი

ფიზიკოსისთვის – ღმერთი და სამყარო!

ლაშა ლაშხი **შვეიცარიის ქ. ჟენევაში მდებარე ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში** (CERN -European Organization for Nuclear Research) **იმყოფებოდა. ახალდაბის საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა მონაწილეობა მიიღო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, სადაც საჯარო სკოლების 10 გამარჯვებული ფიზიკის მასწავლებელი გამოვლინდა. მან ერთკვირიანი სტაჟირება - ქართველ მასწავლებელთა პროგრამა წარმატებით გაიარა. აქ, ლექციებს კითხულობდნენ როგორც უცხოელი, ასევე იქ მყოფი ქართველი თეორიტიკოს-ექსპერიმენტატორები. სტაჟირების ფარგლებში მიმდინარეობდა ვორქშოფები და ცერნის ტერიტორიაზე არსებული კვლევითი ცენტრების დათვალიერება.**

ახალგაზრდა მასწავლებელთან ვრცელი ინტერვიუს ჩაწერა და საინტერესო რესპონდენტთან საუბრის დასასრული არცთუ მარტივი აღმოჩნდა.

იგი ყვიბისის მთავარანგელოზის ტაძარში (მამა გაბრიელ ნათენაძესთან) დღემდე სტიქაროსანი და მედავითნეა. 10 წლის იყო, როდესაც პირველად სტიქარით შეიმოსა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულება 2018-2022 წლებში დაამთავრა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამედიცინო ფიზიკის სამაგისტრო პროგრამით გააგრძელა სწავლა.

სწორედ ამ პერიოდში დაიწყო კერძო სკოლა „ინტელექტში" მუშაობა და მალევე გახდა უფროსი მასწავლებელი ფიზიკასა და მათემატიკაში.

გვიყვება, რომ 2024 წელს დაბრუნდა მშობლიურ ბორჯომში და მუშაობა დაიწყო დაბა ახალდაბისა და ბორჯომის N3 საჯარო სკოლაში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად. დაბრუნების მიზეზი, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების მოსწავლეებისთვის გაზიარებაა.

- გთხოვთ, გაგვიზიაროთ ემოციები კონკურსის შედეგებსა და სტაჟირებაზე?

- როდესაც დამირეკეს და მითხრეს, რომ



იმ 10 მასწავლებელს შორის ვიყავი, რომლებიც შვეიცარიის ქ. ჟენევაში მდებარე ბირთვული კვლევების საერთაშორისო ორგანიზაცია - cern-ში გაემგზავრებოდნენ. ვერ ვიჯერებდი, ზღვა ემოცია იყო ნამდვილად, რადგან ფიზიკოსისთვის საოცნებო ადგილია „ცერნი". ვიცოდი, სტაჟირებას გავივლიდით, დავათვალიერებდით და შევხვდებოდით ჩვენთვის საამაყო ქართველ ფიზიკოსებს და ეს ნამდვილად ახდენილი ოცნება იყო.

იქ მომუშავე ქართველი და არამარტო ქართველი ფიზიკოსები დიდი სითბოთი და სიყვარულით შეგვხვდნენ, საოცარი დღეები გავიარეთ, ჩვენთვის, როგორც ფიზიკოსებისთვის და როგორც მასწავლებლებისთვის დიდი გამოცდილება იყო. ჩვენ, იქ ნანახს, მოსმენილს, გავუზიარებთ მოსწავლეებს.

- როდის დაიწყო ფიზიკის საგნისადმი ინტერესი? როდის გადაწყვიტეთ, რომ ფიზიკის მასწავლებელი გამხდარიყავით?

- ფიზიკისადმი ინტერესი ჯერ კიდევ მეშვიდე კლასში გამიჩნდა, როდესაც დავიწყე ფიზიკის შესწავლა. იმდენად საინტერესო და მრავლისმომცველი საგანია, ძნელია, გვერდი აუარო. სამყაროში ხომ ყველაფერი ფიზიკაა.

- შემდეგი ნაბიჯი იყო ფიზიკის მასწავლებელთან **ციალა წკრიალაშვილთან** სიარულის დაწყება. ციალა მასწავლებელმა ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. მან ჩემი ცხოვრება შეცვალა, სულ სხვა კუთხით დამანახა და შემაყვარა ფიზიკა. ჩემთვის მისაბაძი ადამიანი გახდა ციალა მასწავლებელი. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ჩავაბარებდი ფიზიკის ფაკულტეტზე, გავხდებოდი ფიზიკოსი და ფიზიკის მასწავლებლობას დავიწყებდი.

- როგორ უნდა დაიწყოს ფიზიკის საგნისადმი დიდი ინტერესი და სიყვარული მოსწავლემ?

- პირველ რიგში აუცილებელია სასწავლო გარემო. მოსწავლეებს უნდა დავანახოთ, რომ ფიზიკა არ არის მხოლოდ ფორმულები. ფიზიკაში ძალიან მნიშვნელოვანია ექსპერიმენტები, რათა მოსწავლემ შეძლოს პარალელის გავლება ფორმულასა და იმ მოვლენებს შორის, რომელსაც აღწერს. ასევე, თანამედროვე ტექნიკის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ბევრი საინტერესო ვიდეოებისა თუ სურათების ჩვენება.

- ფიზიკოსისთვის ღმერთი და სამყარო არის?...

- მიმაჩნია, რომ სამყარო შექმნა ღმერთმა და შემდეგ დაიწყო ამ სამყაროს გაფართოება, განვითარება. ერთ მაგალითს მოვიყვან: როგორც მოგეხსენებათ, მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სამყარო შეიქმნა კვანტური წერტილის აფეთქების შედეგად, რომელსაც ვიცნობთ - დიდი აფეთქების თეორიის სახელით. ერთხელ, ნიუტონთან მივიდა ერთ-ერთი ფიზიკოსი, რომელიც ემხრობოდა დიდი აფეთქების თეორიას, (აქვე დავძენ, რომ ჯერ-ჯერობით არ არის ახსნილი, რა წერტილი აფეთქდა, როგორ აფეთქდა და ა.შ. აფეთქდა და, დაიწყო სამყაროს წარმოშობა.) ნიუტონის ოთახში გლობუსი დაინახა და ჰკითხა: **- ეს გლობუსი აქ საიდან გაჩნდაო?** ნიუტონმა უპასუხა, რომ ერთი წერტილი აფეთქდა და აფეთქების შედეგადო. მეცნიერს გაუკვირდა - ვერ გაჩნდებოდაო. სწორედ ამაში დევს აზრი, და ნიუტონმაც ასე აუხსნა ღმერთის არსებობა.

ყველაფრის საწყისი და შემქმნელი არის ღმერთი. უზარმაზარი სამყარო, რომელიც ასეთი სიზუსტითა და კანონზომიერადაა აგებული, ერთი წერტილიდან წარმოიშვა?! ზოგადად, მეცნიერება და რელიგია რთული საკითხია, მაგრამ ისტორიას ახსოვს ბევრი შემთხვევა, როცა გენიოსმა მეცნიერებმა ბოლოს ნამდვილად ირწმუნეს ღმერთის არსებობა, როგორც ნიუტონმა, აინშტაინმა და ბევრმა სხვამ.

- როგორ ხედავთ სამყაროს? რა გაოცებთ?

- სამყარო ჩემთვის ამოუხსნელი და შეუცნობელია, რადგან 95% არის უხილავი, რასაც ფიზიკოსები ბნელ მატერიას ვეძახით, მხოლოდ 5%-ია ხილული.

გასაოცარია ამხელა ვარსკვლავები, პლანეტები, როგორ კანონზომიერად მოძრაობენ, როგორ საათივით არის აწყობილი სამყარო და მასში მიმდინარე პროცესები. მაოცებს ის ფაქტი, რომ უზარმაზარი მზის სისტემები, პლანეტები და უმცირესი ნაწილაკები, რომლებიც ნივთიერებებს აგებს, მსგავსი აგებულებისაა.

- დედამიწის გარდა სხვათა სიცოცხლეზე გიფიქრია? სად ჩერდება სიტყვა?

- მივიჩნევ, რომ სხვა სიცოცხლეც არსებობს, რადგან მზისნაირი ვარსკვლავები მილიონობითაა, მილიარდობით გალაქტიკები. ასე რომ, სრულად შესაძლებელია, სიცოცხლე სხვა სახით სხვაგან იყოს. სიცოცხლეში არ ვგულისხმობ მხოლოდ ადამიანს ან უცხოპლანეტელს. სიცოცხლეა ვირუსებიც, ბაქტერიებიც ან ისეთი ფორმები, რომლებიც ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

ჩემთვის სამყარო უსასრულოა, როგორც უსასრულოა ღმერთი. სამყაროს დასასრული არ გააჩნია, ის ფართოვდება, იზრდება და ვითარდება.

თქვენი გზავნილი თანატოლებს, მომავალს?

- ჩემი გზავნილი იქნება, შეიყვარონ ფიზიკა, როგორც რთული, ფორმულებით სავსე საგანი. ამ ყველაფრის მიღმა იმალება იდუმალი საინტერესო და მრავლისმომცველი მეცნიერება. იკითხონ, მოიძიონ, უყურონ, რათა მეტი გაიგონ ჩვენი სამყაროს შესახებ. ჩემთვის მნიშვნელოვანია, გვყავდეს განათლებული საზოგადოება, რათა მეცნიერება უფრო მაღალ საფეხურზე იდგეს.

ესაუბრა იზა იანკარაშვილი

კეთილი ფერია ბორჯომიდან

უმშვენიერესი ნუკა ჩაჩანიძე ბორჯომის №1 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლის პერსონალურ ასისტენტად და შშმ პირთა დღის ცენტრ „თებეში" სპეციალური მასწავლებლის პოზიციაზე მუშაობს. ნუკა ასევე გახლავთ ბორჯომის ყიდვა-გაყიდვის მთავარი ჯგუფის ადმინისტრატორი, რომლის შექმნის იდეაც 4-5 წლის წინ დაებადა, ანუ მაშინ, როდესაც მთელ მსოფლიოში და ჩვენ ქვეყანაშიც, კორონა ვირუსი მძვინვარებდა. ნუკას მიზანი იყო, ჯგუფის მეშვეობით დახმარებოდა ბორჯომელებს ამა თუ იმ საკითხების მოგვარებაში. ამ წლების განმავლობაში, მისსავე შექმნილ ჯგუფში უამრავი საინტერესო პოსტი თუ ინფორმაცია გავრცელებულა და ჯერ კიდევ ორი წლის წინ, როდესაც ბორჯომელებს ნუკამ ჯგუფის მეშვეობით საკუთარი ინიციატივა გაანდო, სადაც თანაქალაქელებს სთხოვა, რომ ორი უსაყვარლესი გოგონას (მეთორმეტე კლასელების) გალამაზებაში მიეღოთ მონაწილეობა. ნუკას ინიციატივას მაშინ დიდი გამოხმაურება და ადამიანების მხრიდან უდიდესი გვერდში დგომა მოჰყვა. უამრავმა ადამიანმა გამოთქვა დახმარების სურვილი - სამოსით, ფეხსაცმლით, სხვადასხვა აქსესუარებითა და თანხითაც კი.

სულ რამდენიმე დღის წინ კი ნუკამ ისევ საკუთარი ინიციატივით მიმართა ჯგუფის მეშვეობით ბორჯომელებს მეთორმეტე კლასელი გოგონას დასახმარებლად, რომელსაც საშუალება არ აქვს, მისთვის მნიშვნელოვან დღეს გალამაზებული წავიდეს გამოსაშვებ საღამოზე. ყველა ახალგაზრდისთვის და მითუმეტეს, გოგონასთვის კიდევ ორმაგად მნიშვნელოვანია სკოლის დასრულება და მითუმეტეს ბანკეტი, რომელიც მას წარმოუდგენლად ლამაზად და განსაკუთრებულად ესახება და როდესაც ფინანსური მდგომარეობა არ გაძლევს ამის საშუალებას, რა თქმა უნდა, ეს კიდევ მეტად რთული საკითხია. თუმცა, როდესაც ბორჯომში ნუკა და ნუკას მსგავსი კეთილი ადამიანები ცხოვრობენ, შეუძლებელს შეძლებენ.

ნუკას პოსტის დადებიდან, მის ჯგუფში უამრავი ადამიანის კომენტარი გაჩნდა, გოგონას ყველა დახმარებას ჰპირდებოდა. ეს იყო საბანკეტო კაბა, ფეხსაცმელი, ჩანთა, აქსესუარები და ფულადი დამხარებაც კი. მოკლედ, ვისაც რისი სურვილი და შესაძლებლობა ქონდა, ყველამ გამოთქვა სურვილი და სხვათა შორის არა მხოლოდ ბორჯომელებმა. მოელოდა თუ არა ამხელა გამოხმაურებას ინიციატივის ავტორი, ნუკას ვთხოვე საკუთარი ემოციები გაეზიარებინა ჩვენთვის:

ნუკა ჩაჩანიძე: - გასულ წელს, ბორჯომის №1 საჯარო სკოლის ორ მეთორმეტე კლასელს გავულამაზეთ ყველაზე მნიშვნელოვანი, (ბანკეტის) დღე. ჩემი კოლეგები, მაია ორთოიძე და ნათია სოლოღაშვილიც ჩართულები იყვნენ. თებეს თანამშრომლებიც საოცრად დაგვეხმარნენ. რაც შეეხება წლევანდელ პოსტს, ნამდვილად ბედნიერი და კმაყოფილი ვარ, რომ ბორჯომელებთან ერთად დახმარების სურვილი გამოთქვეს სხვა ქალაქებიდანაც. ინიციატივა მე გავაჟღერე, თუმცა მარტო მე ვერაფერს გავხდებოდი. ძალიან ბევრი ადამიანია ამ სიკეთეში ჩართული, უამრავი ადამიანი დაგვიკავშირდა. .ესენი არიან ადამიანები სილამაზის სალონებიდან, აქსესუარების, კოსმეტიკის, ფეხსაცმლის, სამოსისა და სხვადასხვა ნივთების მაღაზიებიდან. ადამიანები პირადად საკუთარ სამოსსა და აქსესუარებსაც კი გვთავაზობდნენ. ნანილმა გამოთქვა სურვილი მატერიალურ დახმარებაზეც.

საოცარი ემოციაა, როდესაც კომენტარებს ვკითხულობ. რამდენი აქებდა ჩემ ბორჯომს და ამაყობდნენ ასეთი ადამიანებით, რომლებიც ასე ერთსულოვნად იღებდნენ მონაწილეობას ამ კეთილ საქმეში.

მინდა ყველა მეთორმეტე კლასელს გულითადად მივულოცო სკოლის დასრულება, ოცნებების ასრულება და უდიდესი წარმატება ვუსურვო თითოეულ მათგანს ცხოვრების ახალ ეტაპზე. ის ფაქტი, რომ მე და კიდევ უამრავმა ადამიანმა სულ მცირედი წვლილი უნდა შევიტანოთ ულამაზესი გოგონას დღის გალამაზებაში, არის უდიდესი მოტივაცია, რომ მომავალში სხვებსაც დავეხმაროთ. ზოგჯერ ერთი სიტყვაც კი საკმარისია დადებითი ემოციისთვის.

უდიდეს წარმატებას გისურვებთ სიკეთით სავსე საქმეში. კიდევ ბევრი ადამიანისთვის მიგენიჭებინოთ ბედნიერების წუთები.

ნატო მელიქიძე

კიდევ ერთხელ და მრავალჟამიერ სიყვარულზე...

მოგესალმებით, გაზეთ „ბორჯომის" მკითხველებო! კიდევ ერთხელ გილოცავთ სიყვარულის დღეს. დაე, თქვენი ცხოვრების ყოველი დღე სიყვარულით და ბედნიერებით იყოს სავსე! დედამიწაზე არ შექმნილა არანაირი ლიტერატურული ნაწარმოები, ლექსი, მუსიკა, ფერწერული ტილო, სიყვარულით აღტკინებული გულის გარეშე. პოეზიის - და არა მარტო პოეზიის - დაბადების მიზეზიც სწორედ სიყვარულია. ჩემს შემთხვევაშიც ასეა.

ბრალად მდებ თითქოს ვიყო ქალი უგრძნობი,
მხოლოდ წიგნებში ჩაკარგული ნიჭიერება,
ნუ დაივიწყებ, ჩემო კარგო, უსიყვარულოდ
არც ერთი სტროფი ჩემი ლექსის არ იწერება.

ლექსი ადამიანის სულიერი მდგომარეობაა, მასში იქსოვება ყველაზე წრფელი ემოციები: - სიხარული, სიყვარული, ტკივილი, აღმაფრენა. როცა წერ, საკუთარ თავს ძერწავ. სიყვარული ეს არა მარტო ერთი ადამიანის, არამედ მთელი სამყაროს, ადამიანების, სიცოცხლის, უფლის, თითოეული ცოცხალი არსების მიმართ მიძღვნილი გრძნობაა.

დღეს, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია ერთმანეთის სიყვარული, სითბო, მხარში დგომა და ურთიერთპატივისცემა, მეგობრობა, სამშობლოს, ოჯახისა და შვილების სიყვარული, რადგან ეს არ შედის თანამედროვე გლობალიზაციის გამოწვევების ინტერესებში, ლიბერალური კულტურა ვერ იტანს ერთობას, თანხმობას. თავისუფლების სახელით იერიში მიაქვს ბუნების მიერ დადგენილ წესრიგზე. წესრიგი, რომელიც იდგა ანარქიასა და ქაოსზე მაღლა. ის ჩაითვალა თავისუფლების შეზღუდვად, ადამიანის უფლებების დარღვევად. ეს ლიბერალური პრინციპები მოედო ხელოვნებასაც, პოეზიაში უარყვეს რითმა და რიტმი, ენაში - მითოსური ფენა და წიაღი, ფერწერაში - მშვენიერება, მუსიკაში - ტკბილხმოვანება და მელოდიურობა. დამკვიდრდა ჰომოსექსუალიზმის და გარყვნილების პროპაგანდა, მნიშვნელოვანი გახდა ინტიმური სირცხვილის რღვევა, რასაც საზოგადოება დეგრადაციამდე მიჰყავს. გრძნობების უარყოფამ მოკლა სილამაზე კაცობრიობაში, რაც ლიბერალიზმის მთავარი მიზანია - ახალგაზრდობის გადაგვარება და გარყვნა.

მე უზნეობას ღირსებად არ ვთვლი, მიმაჩნია,რომ ადამიანი თავისი ერის, ტრადიციების, მისი ზნეობრივი კატეგორიების, მორალური კოდექსის, ადათ-წესების, ენისა და სარწმუნოების მღაღადებელი უნდა იყოს, მაშინ ვერ მოგვერევა ვერანაირი ლიბერალიზმი და გლობალიზაცია. იქნება ამქვეყნად სიყვარული და თანხმობა.

სიყვარული სამყაროს მამოძრავებელი ძალაა, იგი გრძნობათა მთავარსარდალია, ცხოვრების კანონია,რომელიც უნდა შეგეძლოს მიიღო, შეიგრძნო და გასცე. სიყვარული ერთადერთია, რომლის შედეგადაც ადამიანი ხდება ძლიერი, ქალი- უფრო ლამაზი, კაციკეთილშობილი, ამაღლებული ცხოვრება კი მშვენიერი და ბედნიერი.

ოცნება და სიყვარული

ჩემს გამოგონილ სამყაროში მევე ვდედოფლობ,
მევე ვაშენებ ბროლის კოშკებს, ოცნების ტაძრებს,
მერე ვანგრევ და სულ ყველაფერს თავიდან ვიწყებ,
და აგრერიგად მეორდება ისევ და ისევ.
მე სიყვარულის ფრთებით, კარგო, ცამდე ავსულვარ,
და ვარსკვლავები მხოლოდ შენთვის დამიკრეფია,
გადამივლია ცისარტყელას შვიდფერი ხიდი,
ღრუბლის ქულები ფიანდაზად დამიფენია.
ეს საოცნებო სილამაზე სულში მეღვრება,
ფარვანას სწრაფვა და მისივე ჟინი მერევა,
მოვკვდები იმ წამს, სასიცოცხლო დღე დამელევა,
როს ოცნება და სიყვარული გამომელევა.

თვალებით მოძღვნილი სიმღერა

შენ არ იფიქრო, ღვინით ვთვრები,
ანდა მედება ბახუსის ალი,
მე შენი ტრფობის ნექტარი შევსვი
და დღემდე მისი ბანგით ვარ მთვრალი.
ახლაც მაბრუებს მაგ თმის სურნელი,
ნაზი ამბორით ცეცხლის კიდება,
ლამაზ ხილვების ბურანში მყოფი,
ვნეტარებ... არც მსურს გამოფხიზლება.

ხელოვნების ნებისმიერი დარგი შეუძლებელია არსებობდეს სიყვარულის დედააზრის გარეშე. მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორიაში უამრავი ფილმი შეიქმნა და იქმნება, სადაც მთავარი იდეა სიყვარულია. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს ფილმებმა: „მზე შემოდგომისა", „ტიტანიკი", „ლამაზმანი", ,,ცისფერი ლაგუნა" და სხვა სიმღერებიდან განსაკუთრებულად გამოვარჩევდი ვაჟა აზარაშვილის „სენტიმენტალურ ტანგოს". იდეალური წყვილი? - ალბათ მედეა ჯაფარიძე და რეზო თაბუკაშვილი. მათი სიყვარულის ისტორია დღემდე ლეგენდად გრძელდება.

ისევ და ისევ გისურვებთ გაუხუნარ სიყვარულს, თვალებში სიხარული, სახეზე ღიმილი და გულში სიყვარული არ გამოგლეოდეთ!

პატივისცემით ლარეჯან ბარათელი
ბაკურიანი

ვიცოდეთ ბორჯომის ისტორია

საჭივეზე ჭივი შევკარ!

მეტივეობა საქართველოს წყალუხვ მდინარეებზე იყო განვითარებული (მტკვარი, რიონი, ლიახვი, ცხენისწყალი). ამ ხეობების მცხოვრებთა უმრავლესობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეტივეობასთან, ეს დარგი მცირემიწიან რეგიონების მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა და შემოსავლის წყარო იყო.

მეტივეობა არც ისე უსაფრთხო და ადვილად შემოსავლიანი საქმე არ იყო, ტივისთვის შესაფერისი ხის ჯიშების (ნაძვი, ფიჭვი) შერჩევა, მორების მოჭრა, გამოტანა, შეკვრა-შეკოჭვა, „ტყის და წყლის კაცების" გაერთიანება, ტივის დაცურება და მისი ადგილამდე მიტანა, უამრავ პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

ბორჯომის ხეობაში ადგილობრივი მოსახლეობისათვის მეტივეობა, შრომა-საქმიანობის უძველესი დარგი იყო ,რასაც ხელს უწყობდა ხეობაში ხე-ტყის მრავალფეროვნება. ადგილობრივი მოსახლეობა, ზედმიწევნით ფლობდა ,,ტყის საქმეს" ანუ ხის შერჩევას, მოჭრას, დამორვას, და კლიენტებამდე ანუ სატივემდე მიტანას. ასეთ ადამიანებს -,,ტყის კაცებს", ხოლო ვინც სატივე მორებს შეკრავდა, შეკოჭავდა, ორთაყვირს დაამაგრებდა და გამზადებულ ტივს მდინარეზე დააცურებდა - ,,წყლის კაცებს" ეძახდნენ.

ვიდრე სატივე ხეს შეარჩევდნენ და მოჭრიდნენ ,,ტყის კაცები", ,, მოდგამში" ანუ არტელში, უპირველესად ძმები, ოჯახის შვილები, ძმათაშვილები, სახლიკაცები, მოკეთე-ნათესავები, საშუალოდ 4-6 კაცის შემადგენლობით ერთიანდებოდნენ. იცოდნენ სანდო მეზობლების შეამხანაგებაც.

სოფელ ტაძრისში, XX საუკუნის 30-ან წლებში „ ტყის კაცების" ჯგუფში გაერთიანებულნი იყვნენ ძმები - სანდალა და ვასო ბახტაძეები, ბიძაშვილი - ლექსო ბახტაძე, მეზობელი - ვ. ბალახაძე და ბახტაძეების ცოლის მხრიდან ახლობელი - ვანო შაყულაშვილი.

სოფელ დგვარში, იმავე პერიოდში, განთქმული იყო გოგოლაძეების „არტელი", სადაც გაერთიანებული იყო ძმები გოგოლაძეები, მათი ბიძაშვილები, სულ ექვსი კაცი. ჯგუფი ირჩევდა მოთავეს, რომელიც გამორჩეული უნდა ყოფილიყო საქმის ცოდნით, პატიოსნებით, ,,თორემ ცული და თოკი შეიძლება ყველას ქონოდა" - ამბობდა ზანაველი მეტივე გორა კიკაძე.

„ტყის კაცები" სატივე მორებს როცა გაყიდნენ, შემოსულ თანხას თანაბრად ინაწილებდნენ. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე წევრი ხარ-კამეჩს იყენებდა ხის გამოსატანად გამწევ ძლისთვის, ცალკე თანხას გამოუყოფდნენ, რომელსაც ,,სახარე" წილი ეწოდებოდა.

„ტყის კაცები" დანომრილ ხეებისთვის იხდიდნენ ბაჟის თანხას.

ტყეში წამსვლელი თბილად იცვამდა, ფეხზე კარგად მორგებულ ქალამნებში თივას ჩააფენდნენ. ერიდებოდნენ მარიალიან საჭმელს და სპირტიან სასმელს, **„არაყი მუხლსა ჰკვეთსო".**

ერთი ტივის სამყოფ მორების მოჭრას ,,ტყის კაცი „ ანუ ერთი გლეხი 4- დან 10 დღემდე უნდებოდა.

მოსაჭრელ ხეებს განსაკუთრებულად არჩევდნენ (ტორსის სისწორე, წლოვანება, ტანის მოხატულობა, ფერი, ძარღვიანობა და .ა.შ). ხის მოსაჭრელი ცულებიც გამორჩეული იყო, მეტიურა ცულით ნიშანს უკეთებდნენ. ,,ტყის კაცებს", ყველას თავისი ნიშანი ქონდა.

მოსაჭრელი ხე სიგრძით 12 არშინი უნდა ყოფილიყო, ერთი ,,ტყის კაცი" დღეში 4 მორს ამზადებდა. ხოლო ოთხაკციანი ჯგუფი ერთ კვირაში ტივისთვის საჭირო 16-20 მორს ამზადებდა, რომელიც სატივემდე მიჰქონდათ.

როგორც წესი, ადრე დილით აუშვებდნენ ტივს, პირველარს გადაიწერდნენ, ღმერთს და წლის ანგელოზს შეევედრებოდნენ და ,,წყლის გზას" გაუდგებოდნენ.

თუ მტკვარი ადიდებული იყო, ტივი ერთ დღეში ჩადიოდა თბილისში, თუ წყალი დავარდნილი იყო, მაშინ 2-3 დღეში ფარავდა გზას. ღამის სათევად გორში ან უფლისციხეში ჩერდებოდნენ.

1752 წლის დოკუმენტებით ირკვევა, რომ ერთი ტივი შედგებოდა 16-18 მორისაგან.

ლევრელი მეტივის ვანო კვირიკაშვილის ოჯახი

თბილისში შესასვლელში მეტივეები ბაჟს იხდიდნენ.

ტივი საშუალოდ 100 მანეთად იყიდებოდა. ხის საფასურში 38 მანეთს გამოქვითავდნენ. 62 მანეთი მოგება იყო. დღიური შემოსავალი 1,48 მანეთს აღწევდა. **მეტივეობა მეტად მძიმე შრომა იყო, თუმცა პრესტიჟული და შემოსავლიანი.**

ყოველწლიურად მდინარე მტკვარზე საშუალოდ 1000-2000 ტივს აცურებდნენ .1873 წელს, მტკვარზე დაუცურებიათ 1780 ტივი.1883 წელს - 5 ათასი ტივი. 1884 წელს - 2431 ტივი, 1885 წელს - 2727, 1886 წელს - 2807, 1894 წელს - 4950 ტივი.

1882 წლის გაზეთ **„ დროებაში"** (№9) გამოქვეყნდა მეტივის წერილი, რომელშიც გულისტკივილით წერდა: ,,ტივზე 3-დან 5 თუმნამდე ბაჟს იხდიდნენ.15 დან 25 თუმნამდე გვრჩებოდა, ახლა რვა თუმანს გვაძლევენ, თვითონ კი 30 თუმანი რჩებათო".

ერთ-ერთი მკვლევარის (ი.გოკაძე) ცნობით, 1879 წელს, ბორჯომიდან თბილისში 17 700 მორი დაუცურებიათ, თუ ტივებს მოძრაობა შეუფერხდებოდ,ა ხე-ტყის ფასი 200%-ით იზრდებოდა.

1882 წელს გაზეთი ,,დროება" (№9) აღნიშნავდა: **„ბორჯომულ ტივს განჯაშიც ყიდდნენო და იქვე მიუთითებდა, „მთელ საქართველოში ამ ხეობაზე შემკული კუთხე არ მოიძებნება, სახნავ -სათესი მიწები საკმარისი რომ ჰქონდესო"**

ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ ბორჯომის ხეობის მოსახლეობის დიდი ნაწილი ხე-ტყის დამუშავებას მისდევდა.

„ახალციხელები მამულით ცხოვრობდნენ, ჩვენ მამული ცოტა გვქონდა და ტყე გვარჩენდაო"- გადმოგვცემდა ძველი მეტივე, ზანაველი გორა კიკაძე. „ჩვენი მამა-პაპური საქმე ხე-ტყეა" - აცხადებდნენ ხეობელები.

ჟურნალი **„კვალი" 1897 წ. (№49) შენიშნავდა. აქაურები (ხეობელები) დიდი და პატარა, ყველა მეტივეებია და ეს შრომა კარგ შემოსავალს აძლევს ხალხს".**

თბილისიდან დაბრუნებულები ორ-სამ დღეს დაისვენებდნენ და ისევ ტივებს მიაშურებდნენ, გაამზადებდნენ და თბილისისკენ დაეშვებოდნენ, **„ თბილისი ხომ ტივების ქალაქი იყო"**

იმდროინდელი ისტორიკოსები, მწერლები, მეცნიერები, ხაზგასმით წერდნენ, რომ... **„თბილისი, ბორჯომიდან ტივებით მოტანილი ბორჯომის ხე-ტყით არის აშენებული"-ო.**

ბორჯომის ხეობის ბუნების სიმდიდრეებზე XIX-XX ჟურნალ გაზეთები წერდნენ. მაგალითად, გაზეთი „დროება" წერდა თბილისის გუბერნიაში ყველაზე მომატებული ტყე, გორის უეზდშია, ბორჯომის ხეობა გორის უეზდში შედიოდა და 267000 დესეტინას უდრის"... ხოლო სტეფან გულიშამბაროვი თავისი ნაშრომებში "თბილისის გუბერნიის ფაბრიკების და ქარხნების მიმოხილვაში" წერდა, რომ **„ყველაზე დიდი სატყეო მეურნეობა თბილისის გარეუბნის, ბორჯომის მამულში არის და ბორჯომის ხეობიდან გამოაქვთ ხე-ტყის მასალა... თუ არა ეს ტყეები, ტფილისში ერთი სახლიც არ აშენდებაო".**

ამ პერიოდში ბორჯომის ხეობის ტყიანობა 63 პროცენტს შეადგენდა.

,,წიწვოვანი კორომების ასე ჭარბად წარმოდგენა აღნიშნულ ხეობაში, ამ ჯიშის ხეებთან დაკავშირება, ხეობის მოსახლეობის ისეთ დარგების განვითარებას უწყობდა ხელს, როგორიცაა: მეტივეობა, მეკევრეობა, დურგლობა, მეყავრეობა და სხვა.: - წერდა ცნობილი ისტორიკოსი **სერგი მაკალათია.**

მტკვრის პირას მცხოვრები მეტივე - ჭობისხევლებს, დვირელებს, ახალდაბელებს, ტივი ზოგჯერ ბაქომდეც ჩაუტანიათ და დიდ კონკურენციას უწევდნენ ასტრახანიდან ჩამოტანილ ხე-ტყეს.

1882 წელს, გაზეთი „ დროება" წერდა - ,,ბორჯომულ ტივს განჯაშიც ყიდდნენო".

ვალერიან ლომელი

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთ „ბორჯომი" №12. 2025 წელი

ვულოცავთ!

იუბილარი პოეტი

ქალბატონი **თინათინ მღვდლიაშვილი** დაიბადა ქ. ქუთაისში .დაამთავრა თანამედროვე და ტრადიციული ხელოვნების კოლეჯი 1978 წელს. პროფესია - მასობრივ ღონისძიებათა რეჟისორი.

მისი ლექსები და მოთხრობები, არცთუ იშვიათად იბეჭდებოდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ქართველი ერის სიყვარული და დიდი წარმატება საქვეყნოდ ცნობილმა ლექსმა, „დავით მეფეს" - მოუტანა. ეს ლექსი აიტაცა საქართველომ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებაირახტრედ აქცია; მის ლექსებზე შექმნილია საქვეყნოდ ცნობილი სიმღერები: „ხმალი ავლესოთ, ქართველებო!", „აღმაშენებელი თბილისს მობრძანდება", „მარტოხელა, მარტოსულო ქალბატონო", „ქართველები შეარიგე, მერაბ!", „ბედის ვარსკვლავო", „სამშობლო ერთადერთია", „საგალობელი სამებას", „ჭრელ კაბაში დაგაბეროს ღმერთმა" და სხვა. მისი ლექსები თარგმნილია ფრანგულ, ინგლისურ, ჩეჩნურ, რუსულ, გერმანულ ენებზე; თინათინის მიერ შემკობილი ხატები დაბრძანებულია საქართველოს უბრწყინვალეს ეკლესია-მონასტრებში; პოეტს მიღებული აქვს სპეციალური პრემია სამცხე-ჯავახეთისადმი მიძღვნილი ლექსებისათვის ვარძიაში .1991 წელს გახდა ზვიად გამსახურდიას და გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი

ხმალი ავლესოთ, ქართველებო!

ჩვენ სიყვარულის სარეცელზე შეგვქმნა განგებამ,
ჩვენ სათნოება დაგვანათლა არსთა გამრიგემ,
ჩვენ ვაშენებდით ბანას, ზარზმას, გელათს, იყალთოს
და ვმაღლდებოდით ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

ო, საქართველოვ, ოქროსფერი ხარ საოცრება
და პური შენი არსობისა არის ღვთიური,
ო, საქართველოვ, მოქართულობ ისევ ძარღვებში
და იწურება საღმრთო ქვევრში ალადასტური.

ხმალი ავლესოთ, ქართველებო, ხმალი ავლესოთ!
შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი,
უნდა გავთიბოთ, უნდა ვიმკათ, უნდა გავლეწოთ,
გადავარჩინოთ საფიცარი თეთრი გელათი.

ო, საქართველოვ, ოქროსფერი ხარ საოცრება,
ამ საოცრებას გვეცილება მტერი ვერაგი...
ხმალი ავლესოთ, ქართველებო, ხმალი ავლესოთ!
შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი!

მე შენ მიყვარხარ, საქართველო, მე შენ მიყვარხარ!..

მე შენ მიყვარხარ, საქართველოვ, დაუსრულებლად,
და ჩემი გული უსაშველოდ გადაღლილია...
საგურამოსაც ვეწვეოდი, აუცილებლად,
ორგულთა ნაცვლად, რომ მელოდეს დიდი ილია.

მე შენ მიყვარხარ, საქართველოვ, უკიდეგანოდ,
ჩემო მამულო, არავისთვის არ მემეტები!..
წუხელ ვიხილე, რომ მიქროდნენ წიწამურისკენ,
თეთრი ვარდებით დაპენტილი თეთრი ეტლები.

მე შენ მიყვარხარ, საქართველოვ, მე შენ მიყვარხარ!
დაჭრილ სხეულზე გეხუტები და გეფერები!..
ამ ქვეყანაზე ჯერ არასდროს, არსად მინახავს.
სისხლის წვეთები, ო, ასეთი ძოწისფერები!..

ჩემო სამშობლოვ, ო, მიყვარხარ, დაუსრულებლად,
და ჩემი გული უსაშველოდ გადაღლილია...
საგურამოსაც ვეწვეოდი აუცილებლად,
კაკლის ჩეროში, რომ მელოდეს დიდი ილია.

23 აპრილს წიგნის საერთაშორისო დღე აღინიშნა!

წიგნი კაცობრიობის დაგროვილი მეხსიერებაა, სადაც ყოველივე საუკეთესო ჩაიბეჭდა. რაც უფრო მეტ წიგნს წავიკითხავთ, მით უკეთესად გავუგებთ ცხოვრებასა და ადამიანებს, მით უფრო მრავალფეროვანს გავხდით საკუთარ სამყაროს. სწორედ ამიტომ არის წიგნი საუკეთესო საჩუქარი, მასში დაგროვილ სიბრძნეს სხვებს გადავცემთ და მათაც გავამდიდრებთ. გარდა ამისა, მისი კითხვით დიდ სიამოვნებასაც მივიღებთ.

წიგნის საერთაშორისო დღეს საფუძველი, ჯერ კიდევ 1923 წელს, კატალონიაში ჩაეყარა. ძველისძველი კატალონიური ტრადიციის მიხედვით, ერის მფარველი წმინდანის, წმინდა გიორგის სახელობის დღეს, ბარსელონელები და ქალაქის ირგვლივ მცხოვრებნი, ერთმანეთს ვარდებს ჩუქნიდნენ. იმ დღეს, მებაღეებსა და ვარდების გამყიდველებს უამრავი მყიდველი ჰყავდათ.

წიგნით მოვაჭრეებს ეს ფაქტი ძალიან მოეწონათ და 1923 წლის 23 აპრილს წმინდა გიორგისა და ვარდების სახალხო დღესასწაულზე, კატალონიაში მცხოვრებლებს ვარდებთან ერთად წიგნებიც აჩუქეს . ეს ფაქტი დაუკავშირეს ესპანელი მწერლის მიგელ დე სერვანტესის გარდაცვალების დღეს.

ეს ყველასათვის იყო შეხსენება, რომ წიგნს ვერაფერი შეცვლის.

1995 წელს იუნესკომ 23 აპრილი ოფიციალურად გამოაცხადა წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღედ და მისი აღნიშვნა დაიწყო 1996 წლიდან.

2023 წელს საქართველოც შეუერთდა იმ ქვეყნებს, რომლებიც აღნიშნავენ წიგნის საერთაშორისო დღეს.

ამ დღეს საქართველოში იმართება წიგნების გამოფენა-გაყიდვა, სადაც მკითხველებს თავაზობენ ფასდაკლებებს და ჩუქნიან წიგნებს, ასევე ეწყობა ახალი წიგნების პრეზენტაცია, შეხვედრები ავტორებთან.

წიგნის საერთაშორისო დღეს, ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანების (დირექტორი **ნაირა ამანათაშვილი**) ხელმძღვანელობით, ქალაქის ცენტრში და ბაღ-პარკებში მკითხველებს საჩუქრად წიგნები დაურიგეს.

სამედიცინო კვირეული

მუდამ გვერდით გვიგულეთ

შემოდგომა და გაზაფხული წელიწადის დროებს შორის ხომ ის პერიოდია, როდესაც ჯანმრთელობის პრობლემები უფრო მეტად იჩენს თავს. ყველა ადამიანი თავს ვალდებულად უნდა თვლიდეს, რომ წელიწადში რამდენჯერმე მაინც, პროფილაქტიკის მიზნით, ეწვიოს ლაბორატორიას და შესაბამისი ანალიზები ჩააბაროს, რაც სხვადასხვა დაავადებების ნაადრევი პრევენციისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. მითუმეტეს, ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისთვის ლაბორატორიაში რეგულარული ვიზიტი სავალდებულოცაა.

ცოტა ხნის წინ, სოციალურ ქსელში ერთ-ერთ გვერდზე მოქალაქე კითხულობდა ბორჯომში სად შეიძლებოდა ყველაზე სანდო ანალიზების ჩატარება. ძალიან მესიამოვნა, როდესაც ადამიანების უმრავლესობამ, ბორჯომის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ლაბორატორია ყველაზე დადებითად დაახასიათეს. რამდენიმე მოქალაქემ აღნიშნა, რომ ბორჯომის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში ჩატარებული ანალიზები, თურქეთში ჩატარებული ანალიზების იდენტური აღმოჩნდა. ნამდვილად სასიამოვნო ფაქტია ის, რომ იმ ფონზე, როდესაც მუნიციპალიტეტში რამდენიმე ლაბორატორიული კაბინეტი გაიხსნა და თითქოს კონკურენციაც დიდია, ქალაქის მთავარი ლაბორატორია მაინც მოწინავე ადგილს იკავებს. ლაბორატორიული მედიცინა მართლაც ხარისხისა და უსაფრთხოების გარანტი უნდა იყოს და ბორჯომის ,,ჯეოჰოსპიტალსის'' მაღალპროფილური სამედიცინო ცენტრის ლაბორატორიაც სწორედ ერთ-ერთი მოწინავეა მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

უკვე წლებია ლაბორატორია თანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი და წლიდან წლამდე ახალ სერვისებს სთავაზობს პაციენტებს. დეტალებზე სასაუბროდ, ლაბორატორიის ხელმძღვანელს, ქალბატონ **თამარ დათუნიშვილს** ვთხოვე ესაუბრა:

-პირველ რიგში, მადლობა გაზეთ ,,ბორჯომს'', რომ მუდამ ინტერესდებით ჩვენი კლინიკის მუშაობით და მათ შორის ლაბორატორიის საქმიანობით, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია. ასევე, ვისარგებლებ შემთხვევით და მსოფლიო მნიშვნელობის მქონე, სამედიცინო კვირეულის ფარგლებში, ,,ჯეოჰოსპიტალსის''მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ლაბორატორიის კლინიკის ყველა თანამშრომელს მივულოცავ პროფესიულ დღეს, წარმატებით ეღვაწოთ და მუდამ პაციენტთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგარიყვნენ!

რაც შეეხება ჩვენს ლაბორატორიას, გეტყვით, რომ ცენტრს ყოველდღიურად უამრავი პაციენტი აკითხავს. ლაბორატორია სრული 24 საათიანი დატვირთვით მუშაობს, რაც ნებისმიერი ადამიანისთვის მოსახერხებელია. დღის ცვლაში ვმუშაობთ, პირადად მე, ასევე ექთან-ლაბორანტები - **ხათუნა კვირიკაშვილი** და **თეა დათუნიშვილი**, საღამოს ცვლას კი ემსახურებიან - **ნუნუ ზუმბაძე, რაისა როსტომაშვილი და მანანა თვაური.**

ჩვენს ლაბორატორიაში შეგიძლიათ ჩაიტაროთ: კლინიკური, ციტოლოგიური, ბიოქიმიური, იმუნოსეროლოგიური, ფერმენტების, ასევე (ორსულობის დადგენა სისხლით) ონკომარკერები, მჟავა-ტუტოვანის თანასწორობა, ელემენტები (საერთო და იონიზირებული), ბაქტერიოსკოპიული და ბაქტერიოლოგიური (მგრძნობელობა და სტერილობა), კოაგულოგრამა, D დიმერი, ჰორმონებისა და ა.შ. კვლევები.

მაგალითად, თუკი სისხლის პათოლოგიური ცვლილება გამოვლინდა, ჰემატოლოგიური კვლევისათვის პაციენტები იგზავნებიან უკვე თბილისში.

ნამდვილად გვეამაყება ის ფაქტი, რომ ჩვენ ლაბორატორიაში მიღებული პასუხები ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული კლინიკების ანალიზების პასუხების იდენტურია. ჩვენი კლინიკა ერთდაერთია რაიონში, სადაც მიმდინარეობს შიდა და გარე კონტროლი, რაც მეტი სანდოობის გარანტიაა.

არის დღეები, როდესაც ლაბორატორიას ასეულობით პაციენტიც კი აკითხავს. უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მცხოვრები პენსიონერები, სოციალურად დაუცველები და გარკვეული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობენ. სხვადასხვა ანალიზებს საყოველთაო დაზღვევაც აფინანსებს. ჩვენ, თქვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე ვდაგვართ ყოველთვის. მუდამ გვერდით გვიგულეთ!

ნაჯო ფელიქიძე

ძველი და ახალი წიგნი გადავშალე

წლების წინ, თაროდან ძველი წიგნი გადმოვიღე, იქვე გვერდით ახლად შეძენილი წიგნი მედო და ვკითხულობდი.

თუ ოდესმე წიგნის სუნი შეგიგრძვნიათ, ახლა, წაკითხვისას უფრო ზუსტად იგრძნობთ, რას ვწერ და რას ვგულისხმობ.

ძველი წიგნი გადავშალე და ის მთელი სიმძაფრით შევისუნთქე. ვისაც ეს სუნი როდესმე უგრძვნია, ის ემოცია მასთან სამუდამოდ რჩება და აღარასდროს ტოვებს.

შვილს დავუძახე და ვთხოვე:

-უსუნე ძველ და ახალ წიგნებს, აქვს სუნი?

(ჯერ ახალი წიგნი მიიტანა სახესთან, თვალები დახუჭა და უსუნა, შემდეგ ძველი წიგნი აიღო და იგივე გააკეთა.)

-რომლის სუნი უფრო მოგწონს?

-ორივეს ისეთი სუნი აქვს... (ცდილობს, განცდილი შეგრძნება სიტყვებით გადმომცეს.)

-მოგეწონა?

-გაბრწყინებული ლურჯი თვალებით, თანხმობის ნიშნად მიქნევს თავს.

-ეს სუნი არასდროს დაივიწყო და მთელი გულით შეიყვარე, - ვუთხარი და ორივე წიგნს თითქოს იდუმალი მზერით გახედა. (6 წლის იყო მაშინ.)

ბიბლიოთეკაში წიგნების თაროსთან მდგომს, რა ასაკისაც არ უნდა იყოს ის, ვერასდროს ამოშლი გონებიდან და ვერასდროს ამოშლი გონებიდან იმ ადამიანებს, რომლებიც წაკითხული წიგნებიდან მთავარ პერსონაჟებზე მთელი ემოციით რომ საუბრობენ.

და ახლა ფრაგმენტებად გამახსენდა, 17 წლის წინ, 18 წლის სტუდენტმა როგორ შევაღე საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დიდი სამკითხველო დარბაზის კარი, სადაც მხოლოდ წიგნი, სიჩუმე და მისით შეპყრობილი ადამიანები - ისხდნენ და კითხულობდნენ.

ნეტავ რას იტყვიან ისინი ახლა ელექტრონულ წიგნებზე? მათ ხომ ის ჯადოსნური სურნელიც არ აქვთ და მასთან შეხებაც არ შეგიძლია.

და მე მაინც, ისევ და ისევ თეთრ ფურცელებზე დაწერილი შავი ასოებით კითხვა მირჩევნია. სიტყვები რომ სიტყვებს სუნთქვა შეკრული მიჰყვება სიჩუმეში.

გილოცავთ, წიგნის საერთაშორისო დღეს!

იზა აპინელი

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.

იბეჭდება: თბილისი, თევდორე მღვდლის 57.

saari.ltd@gmail.com

borjomipress9@gmail.com

კორექტორი: ნანა კევლიშვილი

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე